

## პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

საკვლევი თემა: დიალექტური მეტყველების პრობლემები პირველ კლასში, პრობლემის იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ძიება.

მაია რეხვიაშვილი

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის, სოფელ მოხის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის, 1-ლი კლასის პედაგოგი. უფროსი მასწავლებელი

სარჩევი	
შესავალი -----	3 გვ
<b>თავი I</b>	
<b>საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზნები და ამოცანები --</b>	<b>4 გვ</b>
<b>თავი II</b>	
პრაქტიკული კვლევის არსი-----	7 გვ
<b>თავი III</b>	
ლიტერატურის მიმოხილვა -----	9 გვ
<b>თავი IV</b>	
მეთოდოლოგია -----	16 გვ
<b>თავი V.</b>	
კვლევის შედეგები -----	20 გვ
<b>თავი VI</b>	
ინტერვენციების დაგეგმვა/ განხორციელება -----	28 გვ
<b>თავი VII</b>	
ინტერვენციის შეფასების მეთოდები, შეფასება და ინტერვენციის შედეგები. -----	31 გვ
<b>თავი VIII</b>	
კვლევის მიგნებები, რეკომენდაციები და ნაკლოვანებები -----	35 გვ
დასკვნა -----	37 გვ
გამოყენებული ლიტერატურა -----	38 გვ
დანართები -----	39 გვ
კვლევის რეფლექსია -----	45 გვ

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომი არის სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის, სოფელ მოხის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის, პირველი კლასის მასწავლებლის- მაია რეხვიაშვილის მიერ ამავე სკოლის პირველ კლასში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიში. საკვლევი საკითხი იყო „დიალექტური მეტყველების პრობლემები პირველ კლასში, პრობლემის იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ძიება“. ნაშრომში ამომწურავადაა წარმოდგენილი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევების მიმოხილვა, პრაქტიკული კვლევის მეთოდოლოგია, აღწერილია კვლევის ეტაპები:

- პრობლემის იდენტიფიცირება;
- პრობლემის გამომწვევი მიზეზები;
- კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის ეტაპები;
- ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება.

კვლევის პრობლემა არის ის არსებული რეალობა, კონკრეტულად დიალექტური მეტყველების ფორმების ინტენსიური გამოყენება მოხის საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეების მეტყველებაში.

ადიგენის მუნიციპალიტეტი და კერძოდ სოფელი მოხე ძირითადად დაკომპლექტებულია მაღალმთიანი აჭარიდან ჩამოსახლებული მოსახლეობით, რომელთათვისაც დამახასიათებელია სპეციფიკური დიალექტური მეტყველება- მაღალმთიანი აჭარული კილო, რომელიც ქმნის პრობლემას სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა გამართული მეტყველებით საუბრისას, ტექსტის შინაარსის გადმოცემისას, წერის დროს, და სწორედ არსებული რეალობა წარმოადგენს კვლევის პრობლემას. დიალექტური მეტყველება სოფელ მოხის და მოხის გარშემო მდებარე რამდენიმე თემის სოფლის მოსახლეობისთვის დამახასიათებელია, რადგან რამდენიმე თემში მდებარე ათეულობით სოფელი სრულიად დაკომპლექტებულია როგორც ზემოდ ვახსენე მაღალმთიანი აჭარიდან ჩამოსახლებული მოსახლეობით. აქედან გამომდინარე მეზობლებში, მეგობრებში, ოჯახებში და იმ სოციუმში, სადაც ისინი ტრიალებენ გაბატონებულია აჭარული დიალექტური მეტყველება- ანუ იშვიათად ხვდებიან ისეთ სოციუმში, სადაც სალიტერატურო ენით, ან ნაკლებად დიალექტური მეტყველებით საუბრობენ. ყოველივე ამის ფონზე პირველ კლასში პირდაპირ ოჯახიდან შემოდის მოსწავლე, რადგან ცამეტი სოფლის რადიუსში არ არსებობს საბავშვო ბაღი და აქედან გამომდინარე ვერ იღებენ სკოლამდელ განათლებას, ოჯახებიდან წამოდებული დიალექტური მეტყველებით მოდიან პირველ კლასში და უჭირთ სალიტერატურო ენით კითხვა, განსაკუთრებით მეტყველება და წერა, რადგან ხვდებათ მათთვის უცნობი სიტყვები, რადგან მათ მაგივრად ისინი სხვა სიტყვებს იყენებენ, უჭირთ

აქედან გამომდინარე სალიტერატურო ენით წერაც- წერენ ისევე როგორც საუბრობენ. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ:

პიროვნების საერთო კულტურა, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები სწორედ მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება. ის ქმნის იმ ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი. სწორედ ამის გათვალისწინებით განისაზღვრება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზნები:

- განუვითაროს მოზარდს ძირითადი საკომუნიკაციო უნარები (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა);
- გამოუმუშაოს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა;

ყველაფერი ამის გათვალისწინებით, ასევე ასეთი პრობლემების მრავალჯერ გადაკვეთის გამო ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში გადავწყვიტე ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება პირველი კლასიდანვე დამეწყო, რადგან გამართული სალიტერატურო ენის ცოდნა განაპირობებს მოსწავლეების შემდგომ წარმატებულ მოღვაწეობას ყველა დარგში, რადგან „ნებისმიერი თანამედროვე ეროვნული ენა არის რთული ერთიანობა, მოიცავს სახესხვაობათა მთელ კომპლექს-სალიტერატურო ენას, სოციალურ და სტილურს, დიალექტურ მეტყველებას კი ტერიტორიული ვარიანტებით. სწორედ ეს ტერიტორიული და სოციალური ვარიანტები მათ ინდივიდუალურობასა და ერთიანობაში არის დიალექტოლოგიის შესწავლის ძირითადი ობიექტი. დიალექტოლოგია, როგორც მეცნიერული დისციპლინა, ჩაისახა ეთნოგრაფიის წიაღში და გამოიკვეთა ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის შესწავლასთან ერთად.“ -/ დიალექტოლოგია-ენციკლოპედია „საქართველო“-ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია/ როგორც ი. აბაშიძე წერს დიალექტოლოგია ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ნაწილია, ეთნოგრაფიის წიაღში ჩასახული, ინდივიდუალური, ამიტომაც სალიტერატურო ენის შესწავლის პარალელურად არ უნდა დავკარგოთ დიალექტური მეტყველება, ვეცადოდ დიალექტური მეტყველება მოსწავლეებში, როგორც კულტურული ძეგლი, შევინარჩუნოთ, მაგრამ იქ სადაც აუცილებელი და საჭიროა გამოვიყენოთ სალიტერატურო ენა, რადგან მოსწავლე სრულფასოვნად უნდა ფლობდეს მშობლიურ ენას, რომ სწავლის პროცესი ოყოს ეფექტიანი.

## თავი I

### საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზნები და ამოცანები

#### მოკლე ინფორმაცია

ჩემი საკვლევი თემის საფუძველი გახდა ჩემი მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება, რომელიც მიმდინარობს მოხის საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლის ხაზით. სწავლების ამ საფეხზე ხდება მოსწავლის ფორმირების აქტიური პროცესი, რაც გამოიხატება ბავშვის როგორც ფიზიკური მონაცემების, ისე გონებრივი ზრდისა და განვითარების თვალსაზრისით. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მოსწავლის მეტყველება, მისი ლექსიკური მარაგი და ვუაბლოვით ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს.

სოფელი, სადაც ჩვენი სკოლა მდებარეობს დასახლებულია აჭარის მაღალმთიანეთიდან ჩამოსახლებული მოსახლეობით, ამ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მეტყველებს დიალექტური მეტყველებით, რაც ბუნებრივია აისახება მათი შვილების ლექსიკურ ფორმებზე.

ვინაიდან ქართული ენა, მისი მკაცრად განსაზღვრული გრამატიკული ფორმები არის ვალდებულება ქართულის სწავლების სტანდარტისა, მიზნად დავისახე წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამემიჯნა ჩემი მოსწავლეების ლექსიკური მარაგიდან ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტური ფორმები. რათა შემდგომ კლასებში, რაც სამწუხაროდ ტრადიციად იქცა, არ მოხდეს არა გრამატიკული ნორმების მეტყველების ფორმების გამოყენება მათ სასაუბრო ლექსიკაში, არამედ მათი მეტყველების ფორმირება მოხდეს დიალექტური მეტყველების ზეგავლენითა და ლექსიკური მარაგის გამდიდრებით.

კვლევის მიზნად დავისახე პირველ კლასშივე მომეხდინა ჩემი მოსწავლეების სამეტყველო ლექსიკის იდენტიფიცირება და მათი რაც შეიძლება მეტად დაახლოება ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკულ ფორმებთან. შემდგომ კლასებში უკვე ძალიან რთულია ჩვეულებად ქცეული, დიალექტური ფორმებით გაჯერებული, სამეტყველო ლექსიკის დახვეწა და სრულყოფა.

კვლევა, მისი მიღწეული შედეგები, შედეგს მომიტანს მე, როგორც პედაგოგს, რომელსაც შემდეგ წლებშიც ამ ფოკუსს ჯგუფთან და სხვა ახალ თაობებთანაც მომიწევს ანალოგიურ პრობლემებთან შეხება და მათი მოგვარებისთვის ბრძოლა, მექნება გარკვეული ცოდნა და ხედვა მსგავსი პრობლემების მოსაგვარებლად, ეს კვლევა მომცემს გარკვეულ ცოდნას, რომელსაც გამოვიყენებ ჩემს შემდგომ პროფესიულ საქმიანობაში. ჩემს გამოცდილებას გავუზიარებ ჩემს კოლეგებს, დაინტერესებულ პირებს.

## პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

ჩემი ხანგრძლივი პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე ინტენსიურად, ყოველ დღე, ყოფით თუ სასკოლო ცხოვრებაში ვაწყდებოდი ზემოდხსენებულ პრობლემას და იტენსიური დაკვირვებით გამოიკვეთა გამომწვევი მიზეზის რამდენიმე ფაქტორი

- I. დიდ ტერიტორიზე გაბატონებული დიალექტური მეტყველება, რომელთა ოჯახებიდანაც მოსწავლეთა ნაკადის მოდინება ხდება მოხის საჯარო სკოლაში.
- II. ოჯახში მცხოვრები რამდენიმე თაობა, რომელთა ტრადიციული დიალექტური მეტყველება დიდ ზეგავლენას ახდენს მომავალ თაობაზე.

- III. სოციალური გარემო: ქუჩა, უბანი, სკოლა, სადაც ძირითადად ტრიალებენ მოსწავლეები და ამ ადგილებში დამკვიდრებული დიალექტური მეტყველება.
- IV. ოჯახის წევრების განსხვავებული მიდგომები და პრობლემების გააზრება, რაც უარყოფითი განმამტკიცებელია მათ შილების სასაუბრო ლექსიკის ფორმისთვის.
- V სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების არ არსებობა ცამეტი სოფლის რადიუსში, რაც განაპირობებს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის თავისუფალ სტილს.
- VI სასკოლო სოციუმის მეტყველების ფორმების იდენტიურობა მოსწავლის, როგორც ინდივიდის მეტყველების ფორმირების პროცესში.
- VII საზოგადოების დაბალი მოტივაცია ქართული სალიტერატურო ენის ფორმების დაცვით მეტყველებისა, რაც განმამტკიცებელი ფაქტორია მომავალი თაობის მეტყველების კულტურის.

ეს არის პრობლემის გამომწვევი მიზეზები ჩემი ვარაუდით და ამიტომ ჩავატარე სკოლის პედაგოგების გამოკითხვა, მიზეზების იდენტიფიცირების და განმტკიცების შემდეგ დავეგეგმე პრობლემის მოგვარების შესაბამისი ინტერვენციები . /იხილეთ დანართები/

### კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია დავეხმარო პირველი კლასის მოსწავლეებს ენობრივ-ლექსიკური მარაგის გამიჯვნაში დიალექტური მეტყველების ფორმებისაგან. შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, მათი განხორციელება და მიღწეული შედეგების შეფასება.

### კვლევის ამოცანა

კვლევის ამოცანაა დავეხმარო პირველი კლასის მოსწავლეებს მართლმეტყველებისა და მართლწერის წესების შესწავლაში და გამოყენებაში. კერძოდ პირველკლასელებთან შევიმუშავო ისეთი აქტივობები, რომლებიც ხალისით, თამაშ-თამაშით შეასწავლის და განუმტკიცებს მათ მეტყველებაში და წერის დროს სალიტერატურო ენის ფორმების გამოყენებას.

## თავი II

### პრაქტიკული კვლევის არსი

„პრაქტიკული კვლევა არის ერთ-ერთი საუკეთესო გზა იმისთვის, რომ გავიგოთ, რა ხდება ჩვენს სკოლაში და ვაქციოთ ის უკეთეს ადგილად“

(Emily F. Calhoun, 1994)

ეს სიტყვები ჟურნალ მასწავლებელში წამმღვარებული აქვს სტატიას კვლევის შესახებ და სრულიად ამომწურავად ასახავს პრაქტიკული კვლევის არსს. პრაქტიკული კვლევის საშუალებით პედაგოგი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის იბრძვის, შეისწავლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში და კერძოდ მის პრაქტიკაში არსებულ პრობლემებს, სახავს პრობლემების გადაჭრის გზებს, უზიარებს გამოცდილებას კოლეგებს, ჩართვას მათ პროფესიული განვითარების მრავალფეროვან აქტივობებში და ამით ისინი იზრდებიან პროფესიულად. საკვლევი საკითხის იდენტიფიცირებასა და გადაჭრაზე სასურველია მუშაობდეს მკვლევართა გუნდი, რადგან „გუნდურობისა და თანამშრომლობის პრინციპის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია სწავლა-სწავლების პროცესი, რომლის ხარისხიანად წარმართვა შეუძლებელია სკოლის სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების ერთობლივი მუშაობის გარეშე. შესაბამისდ სკოლაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის პროცესში მკვლევარი შეიძლება იყოს სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრი-დირექტორი, მასწავლებელი, კათედრის ხელმძღვანელი, მოსწავლე და სხვა. მათ ყველაზე უკეთ იციან თავისი სამუშაოს ძლიერი მხარეები, იციან საქმიანობის რა ნაწილშია პრობლემა და ცდილობენ მის გადაჭრას.

აქედან გამომდინარე პრაქტიკული კვლევა არის საუკეთესო ალტერნატივა იმის წარმოსაჩენად, როგორ შევისწავლოდ სასკოლო გარემო და მივიღოთ გადაწყვეტილება მისი გაუმჯობესების შესახებ...“

/ჟურნალი მასწავლებელი „პრაქტიკული კვლევა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და სწავლა სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის“, ვერიკო ხელისუფალი, 2014 წ./

ამდენად, პრაქტიკული კვლევა უნდა იყოს დაფუძნებული სკოლაში და კერძოდ საკუთარ პრაქტიკაში არსებულ პრობლემებზე და აუცილებლად უნდა ვესწრაფოთ გადავჭრათ პრობლემა და მივიღოთ შედეგი, ეს კი როგორც ზემოთ არის აღნიშნული გამოცდილი პედაგოგების თანადგომით, ინოვაციური მეთოდების და



სტრატეგიების გამოყენებით , კვლევის ძირითადი ეტაპების გავლით იქნება შესაძლებელი.

სწორედ ეს არის ჩემი პედაგოგიური კვლევის არსი; როგორც მთელ სკოლაში და ასევე კერძოდ ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში არსებული პრობლემის, მასიურად მოსახლეობის დიდი წილის და კონკრეტულად პირველკლასელთა მეტყველებაში დიალექტიზმების სიჭარბის შემცირება, მეთი მეტყველების დაახლოვება სალიტერატურო ენასთან და თანაც ისე, რომ თამაშით, კორექტულად და ფაქიზად მივიღე სასურველ შედეგამდე. შედეგი კი იყოს საუკეთესო.

მივედით იმ დასკვნამდე, რომ პრაქტიკული კვლევის არსი მდგომარეობს მოსწავლეებში ძლიერი მხარეების აღმოჩენაში, ეფექტური სტრატეგიების დაგეგმვაში პრობლემის მოსაგვარებლად, ორიენტირებული პრაქტიკოსი მკვლევარების ჩამოყალიბებაში რომელიც დახვეწავს საკუთარ პროფესიონალიზმს და კოლეგების პრაქტიკასაც გააუმჯობესებს-- სკოლისთვის პრიორიტეტულ საქმიანობებში პროგრესის მიღწევაში და სწავლა-სწავლების ხარისხიანად წარმართვაში.

### თავი III

#### ლიტერატურის მიმოხილვა

##### III. 1

პირველი, რითაც დავინტერესდი კვლევის პროცესში ლიტერატურის მიმოხილვის თვალსაზრისით იყო ეროვნული სასწავლო გეგმა, რათა დამედგინა პრობლემის აქტუალურობა, მისი მოგვარების აუცილებლობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024.

#### **მუხლი 58. ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი** **შესავალი**

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ბირთვს წარმოადგენს ენა, როგორც პიროვნების თვითგამოხატვის, აზრის ჩამოყალიბებისა და გადაცემის საშუალება. ენობრივი უნარ-ჩვევები წარმოადგენს არა შემთხვევით ნაკრებს, არამედ ერთ მთლიან სისტემას. მან ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების პირადი, ცხოვრებისეული, სოციალური თუ პროფესიული სირთულეების დამოუკიდებლად დაძლევის პროცესს, ვინაიდან ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო საგანი კი არ არის, არამედ, სხვა საგანთაგან განსხვავებით, სწავლების ენაა, ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალებაა. სწავლების ძირითადი პრინციპია საგნის (ენისა და ლიტერატურის) შინაარსობრივი ერთიანობა.

პიროვნების საერთო კულტურა, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები სწორედ მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება. ის ქმნის იმ ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი. სწორედ ამის გათვალისწინებით განისაზღვრება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზნები:

- განუვითაროს მოზარდს ძირითადი საკომუნიკაციო უნარები (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა);
- გამოუმუშაოს წერიტი და ზეპირი მეტყველების კულტურა;
- განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი;
- ჩამოუყალიბოს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების უნარი;
- შეაყვაროს კითხვა; გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი;
- გააცნობიერებინოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარება.

1. **ზეპირმეტყველება.** ეს მიმართულება ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეტყველო ქცევას აერთიანებს. ესენია: **მოსმენა** და **ლაპარაკი**. ამ სამეტყველო ქცევებთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების თანამიმდევრული განვითარება მიზნად ისახავს თავისუფალი, თანამედროვე კომუნიკაციისათვის მზადმყოფი პიროვნების ჩამოყალიბებას. ეს გულისხმობს ზეპირი მეტყველების, აზრის გამოხატვის უნარ-ჩვევების, მოსმენის კულტურის, სოციალური კომუნიკაციისა და ინტერაქტიური უნარების განვითარებას. მათი განვითარება საფუძველს უყრის ჰუმანური, ტოლერანტული, სხვათა აზრის დამფასებელი პიროვნების აღზრდას.
2. **კითხვა.** კითხვის უნარის განვითარება **წიგნიერების** საფუძველია, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს მიმართულება ემსახურება მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურასთან ზიარებას; ამასთანავე, ნაირგვარი წერილობითი ტექსტის წაკითხვის, მათში მოცემული ინფორმაციის გაგების, გააზრებისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სწავლის პროცესში მოსწავლემ უნდა გამოიყენოს კითხვის ძირითადი სტრატეგიები, რათა შეძლოს ტექსტის შერჩევა, მასში სასურველი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, კრიტიკული კითხვა, გრამატიკული, სტატისტიკური და კონტექსტური მონაცემების გამოყენება ტექსტის ღრმად წვდომის მიზნით;

სპეციალური სამიებლებისა და ლექსიკონების გამოყენება, ტექსტების სწრაფი და დიფერენცირებული კითხვა, მიღებული ინფორმაციის დამუშავება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნების გამოტანა.

3. წერა. ინფორმაციისა და საკუთარი აზრის წერილობითი გადმოცემა, წერის კულტურის ჩამოყალიბება პიროვნების ინტელექტუალური შესაძლებლობების რეალიზაციის აუცილებელი პირობაა. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარის გამოვლენა და განვითარება, აზრებისა და დამოკიდებულებების გამოხატვის ენობრივ-სტილისტური საშუალებების დაუფლება, მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება (წინასწარი გეგმის შედგენა, საკვანძო სიტყვების შერჩევა, „შავი“ ხელნაწერის გასწორება-რედაქტირება და ა.შ.). მოსწავლე უნდა დაეუფლოს აზრის წერილობით ჩამოყალიბების უნარ-ჩვევებს, აგრეთვე მკაფიო ხელწერას, მართლწერისა და პუნქტუაციის სავალდებულო ნორმებს.

### III. 2 ქართული ენა და ლიტერატურა დაწყებით საფეხურზე

მშობლიური ენის სწავლება დაწყებით საფეხურზე ემსახურება აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის მიმართულებით. ამავე დროს, ეს პროცესი გულისხმობს იმ მინიმალური ლინგვისტური კომპეტენციის ფორმირებას, რომელიც ენის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით არის აქტუალური და შეესაბამება მოსწავლის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს. (ესგ. 2019-2024 წწ.)

### III. 3 პარალელები სხვა კვლევებსა და ნაშრომებში

ჩემი პედაგოგიური კვლევის დაწყებამდეც და წერის პროცესშიც გავცანი ჩემი საკვლევი თემის გარშემო გამოქვეყნებულ სხვადასხვა სტატიებს, კვლევებს, მეცნიერულ ლიტერატურას დიალექტოლოგიაზე, რათა გამეანალიზებინა სხვადასხვა მოსაზრებები, შემეჯერებინა და სწორად განმესაზღვრა ჩემი პედაგოგიური კვლევის არსი, დამეგეგმა კვლევის სხვადასხვა ეტაპები. ამისათვის კიდევ ერთხელ გადავხედე ქართული ენისა და ლიტერატურის ეროვნულ სასწავლო გეგმას, სადაც დაწყებით საფეხურზე, და არამარტო, დიდი როლი ენიჭება მეტყველებას, კითხვას, წერას, შინაარსის გაგებას, გააზრებას, გადმოცემას. არამედ ხაზგასმულია, რომ ქართული ენა სწავლების ენაა, ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალება. შემდეგ მოვიძიე სხვადასხვა წიგნებსა თუ სახელმძღვანელოებში მეტყველების სტილის გარშემო არსებული ინფორმაცია, გამოქვეყნებული სტატიები და კვლევები ინტერნეტ სივრცეში, ჟურნალებსა და გაზეთებში, მეცნიერული ნაშრომები და ყველაფერი ამის გათვალისწინებით შევძელი წარმომედინა ლიტერატურის მიმოხილვა.

კვლევის პროცესში გაზეთ ახალ განათლებაში (21-27. 03. 2019) გამოქვეყნდა სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ ხარაულის თემურ ზაქარაძის სახელობის საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებლის, თამაზ აბულაძის ანალიტიკური ამონარიდი მისივე პედაგოგიური კვლევის ანგარიშიდან „დიალექტური ხარვეზების დამლევისათვის“.

კვლევის სათაური იყო „ქართული ენის სწავლებით დიალექტური მეტყველების დამლევისათვის გაწეული მუსაობის გამოცდილება“ , ბატონი თამაზის სკოლა, როგორც მოხის საჯარო სკოლა, არის აჭარულ დიალექტურ არეალში და როგორც ბატონი თამაზი ბრძანებს , პატარები თავიდანვე ამ დიალექტის არეალში იზრდებიან და სკოლაშიც შესაბამისი მეტყველებით მოდიან. ბატონი თამაზი მე-5 კლაში იკვლევს ამ პრობლემას ,თუმცა სრულიად ეხმაურება ჩემი კვლევის არსს. ბატონ თამაზს მოყავს მაგალითი ,თუ როგორ აკავშირებდა ერთმანეთთან გრამატიკის და დიალექტის საკითხებს: „ბრუნებისა და რიცხვის სწავლების დროს საჭირო გახდა ყურადღება გამემახვილებინა იოტიან ფორმებზე სახელობით ბრუნვაში. აჭარელი ამბობს: რამაზაი, დავითაი, ნინოი, კახაი. ასე წარმოთქვამს სხვა არსებით სახელებსაც. მოსწავლეებს ავუხსენი იოიტს გამოყენების არალიტერატურობა. ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში ასევე გამოიყენება იოტი: რამაზაის, დავითაის, კახაით. რაც შეეხება ვითარებით ბრუნვას, -ად ბრუნვის ნიშნის დ-ს ნაცვლად დიალექტი ყოველთვის იყენებს თ-ს... ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებს უკავშირდება ს და თ ბგერების დაკარგვა: ქათმი ხორცი, ყურძნი წვენი.“.

სრულიად იდენტური მეტყველება აქვთ ჩემს მოსწავლეებს და პირველი კლასის პროგრამიდან გამომდინარე მოსწავლეებს ხშირად ვუტარებდი სახალისო ტესტებს ,რომლებსაც ქონდა ანალიტიკური და თვალსაჩინოებით, თამაშ-თამაშით სწავლების დატვირთვა /ტესტები იხილეთ დანართში/ , რადგან მათი ასაკიდან გამომდინარე გრამატიკის შესწავლა ისეთი დოზით არ შედიოდა პროგრამაში და ასეთმა ტესტირებებმა საკმაოდ დადებითი შედეგი გამოიღო. ბატონ თამაზს ვეთანხმები იმ საკითხშიც, რომ როგორც ის ბრძანებს „მოსწავლეთა მეტყველების სრულყოფისათვის აუცილებელია კიდევ ერთი პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც შეეხება მასწავლებელთა მეტყველებას. მეუხერხულეა ამ საკითხზე მინიშნება, მაგრამ აუცილებელია ავღნიშნო, რომ სკოლებში, ყოველდღიურად, 5-6 გაკვეთილიდან მეტყველების ნორმები დაცულია მხოლოდ ქართული ენა- ლიტერატურის გაკვეთილებზე, ანუ უხეში პერიფრაზით რომ ვთქვათ , ერთ მასწავლებლის აღმა ხნულს, სხვები დაღმა ფარცხავენ.“ რათქმაუნდა მოსწავლეთა მეტყველების დახვეწისათვის აუცილებელია ყველა მასწავლებელი მეტყველებდეს გამართულად , ამ მიზნით კი უმთავრესია მასწავლებელთა პასუხისმგებლობის ამაღლება.

III. 4

ქართული დიალექტოლოგია

ენა იცვლება დროსა და სივრცეში. პირველ შემთხვევაში ენის ისტორიასთან გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში-- მის დიალექტურ ნაირსახეობებთან. / არნ. ჩიქობავა/

დიალექტი არის ამა თუ იმ ენის მეტყველებრივი ნაირსახეობა, გავრცელებული გარკვეულ ტერიტორიაზე ან ეთნიკურ, სოციალურ, პროფესიულ თუ ასაკობრივ ჯგუფში. ამისდა მიხედვით გვაქვს ტერიტორიული, ეთნიკური, სოციალური და პროფესიული დიალექტები. აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში სამი ქვეჯგუფი გამოიყოფა: ა. მთის დიალექტები: ხევსურული, ფშაური, თუშური, მიხეური, მთიულურ-გუდამაყრული, ბ. ბარის დიალექტები: ქართლური, კახური, ინგილოური, ფერეიდნული, გ. სამხრეთ- დასავლური დიალექტი - მესხურ-ჯავახური. დასვლეთ საქართველოს კილოები სამ ზონად იყოფა: ა. ზემო ზონის დიალექტი- რაჭული, ბ. შუა ზონის დიალექტები- იმერული და ლეჩხუმური. გ. ქვემო ზონის დიალექტები- გურული და აჭარული./ ბ. ჯორბენაძე/ სწორედ ტერიტორიული დიალექტი, კერძოდ ზემო აჭარული და მასზე მეტყველება არის ჩემი კვლევის საფუძველი, რადგან აჭარული დიალექტი დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება -- აჭარაში თავისთავად, გურიაში, სამცხე-ჯავახეთის დიდ ნაწილში და თურქეთის გარკვეულ ტერიტორიაზე.

დიდ ტერიტორიაზე გავრცელებულ ენაში ყოველთვის გამოიყოფა დიალექტები, ანუ კილოები, ეს არის ტერიტორიული დიალექტები. დიალექტებს ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი, რომლებითაც ერთი დიალექტი განსხვავდება მეორე დიალექტისაგან და აგრეთვე სამწერლობო ენისაგან. განსხვავება შეიძლება გამოვლინდეს გრამატიკულ ფორმებში, ბგერით შემადგენლობაში , ბგერად ცვლილებებში. კილოები გამოიყოფა ენაში, ქათული ენის კილოებია: ქართლური, კახური, აჭარული, მეგრული, რაჭული ..... და ერთი და იმავე კილოს ფარგლებში გამოიყოფა კილოკავები. მაგალითად აჭარული კილო ქართული ენის ერთ-ერთი დიალექტური ერთეულია აჭარაში . აჭარული მეტყველება გავრცელებულია შუახევის, ქედის , ხელვაჩაურის, ხულოს , ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, ნაწილობრივ გურიის მხარეში. აჭარული დიალექტი იყოფა ზემო და ქვემო აჭარულად. ზემო აჭარული მოიცავს ხულოს, შუახევის ქედის და ნაწილობრივ ხელვაჩაურის რაიონებს. ქვემო აჭარული- ხელვაჩაურსა და ქობულეთს.

/მასალა ვიკიპედიიდან, თავისუფალი ენციკლოპედია/

თუმცა აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ვარლამ თოფურია წერს „ძირითადად განასხვავებენ დიალექტთა ორ ტიპს:

ლოკალური დიალექტები / გეოდიალექტები/ რომელსაც შეისწავლის დიალექტოლოგია და სოციალური დიალექტები/სოციოლექტები/, რომელთაც სოციოლინგვისტიკა შეისწავლის . „ დიალექტი“ განსხვავდება ცნებისაგან „კილო“

რომელიც ენის მხოლოდ ფონოლოგიურ ასპექტს მოიცავს. ასე მაგალითად, აჭარელს შეუძლია ლიტერატურულ ენაზე აჭარული კილოთი ისაუბროს, მაგრამ არ შეუძლია სტანდარტიზირებულ ქართულად აჭარული დიალექტით ლაპარაკობდეს.

/ დიალექტოლოგია. ვ. თოფურია/ სწორედ ამას მინდა გავუსვა ხაზი, რომ საქმე არ გვაქვს კილოსთან, ჩემი კვლევის პრობლემა სწორედ იმაშია, რომ დიალექტით საუბარი და კერძოდ ამ შემთხვევაში აჭარული დიალექტი მოცემულ სიტუაციაში სტანდარტიზირებული ქართულით საუბარს უშლის ხელს და ეს თავის მხრივ კიდევ სხვა პრობლემებს წარმოქმნის სწავლა-სწავლების პროცესში.

თედო სახოკიამ 1897 წელს იმოგზაურა აჭარაში და აღწერა აჭარელთა ყოფა და მათი ენობრივი მხარეც: „პირველ რიგში როგორც მე მიჭირდებოდა მათი ნათქვამის გაგება, ისე იმათაც ჩემი ნალაპარაკების გაგება უჭირდებოდათ. ეგ სიძნელე იმისგან წარმოსდგება, ჩვენი აზრით, რომ ზოგი სიტყვების ქართული სახელწოდება დაპვიწყებით და თურქულ სახელებს ეძახიან. ასეთი სიტყვა როცა ფრაზაში გაერევა, ხანდახან მთელი ფრაზის შინაარსი გაუგებარი რჩება მსმენელისათვის. ხშირად ხმარობენ სიტყვა ბა-ს, რაიცა ნიშნავს კი, ჰო, მაშ-ს. პირველი პირის ნაცვალსახელს მეს ბოლოს ნა-ს უმატებენ ლაპარაკის დროს... აჭარელი ასე იტყოდა „მენა გითხარი“, რამდენის მაგიერ „რამითი“-ს ...“.

სწორედ ასეთი და სხვა მრავალი ამის მაგარი დიალექტური ფორმები არის გავრცელებული დღეს სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ იმ სოფლებში, სადაც კომპაქტურად არიან დასახლებული ზემო აჭარიდან ჩამოსახლებული მოსახლეობა და მათი ტრადიციული ოჯახებიდან გამომდინარე დიალექტური მეტყველება თავისი ერთი მხრივ მშვენიერი სპეციფიკურობით და მეორეს მხრივ ლიტერატურულ ქართულთან დაკავშირებული სიძნელეებით მრავლად გვხვდება ქუჩაში, ოჯახებში, სკოლაში და ჩემი საკვლევი პირველი კლასის მოსწავლეების ყოველდღიურობაში.

ეთერ ბერიძეს ნაშრომში „აჭარული დიალექტის სალექსიკონო მასალა“ წარმოდგენილი აქვს ზემო აჭარული დიალექტის ლექსიკური ერთეულები. მაგალითად :

ამგზობაი, რომელიც ნიშნავს ამჯერად;

ასკუჯვა-უხერხულად წაქცევა ან რაიმეს წართმევა;

აღება ანუ ყიდვა (შექარი და პური ავიღე მაღაზიაში) ;

აღირება- ამბობენ იმშემთხვევაში, როცა არ სიამოვნებთ ვინმეს მოსვლა ან წასვლა.(აღირა თავი და ამოვიდა; დააღირა თავი და წავიდა)

ბაძგუნნი- უშნოდ სიარული, უშნოდ მორაობა, უშნოდ მუშაობა, ეკალ-ბარდებში მოძრაობა

ბლაქუნი- უსაფუძვლო თავის ქება( ნუ ბლაქუნობ!-ასე მიმართავენ როცა მისი ლაპარაკი ან ყვირილი ზეგავლენას ვერ ახდენს.)

ბურძღალი - იტყვიან თმაზე, რომელიც ძნელად ივარცხნება ან ადვილად იწეწება, ან მარცვალგაცილილ ყურძნის მტევანზე

გაპეჭვა- გავსება , დატენა, გაჭედვა( მაგ. თივით საბძლის გავსება, გაპეჭვა)

გასხრიკება- გაკიდება, გადევნება

გაშლიპა- გახადა მაგალითად ტანსაცმელი

ან გააკოტრა

იღრანჯება - იღრიჭება

მოშლიპა - მოძრობა რაიმესი ან გადატანითი მნიშვნელობით სამსახურიდან მოხსნა

უკოლმა - უკულმა

და სხვა მრავალი ასეთი სიტყვები აქვს ეთერ ბერიძეს წარმოდგენილი თავისი განმარტებებით, რომლებიც სრულიად დამახასიათებელია და ყოველდღიურ საზოგადოებრივ თუ ოჯახურ გარემოში გამოიყენებენ ჩემი მოსწავლეები. ის ცოცხალ მეტყველებაში არსებობს ჩვენს თანამედროვეობაში და როგორც ნინო უსტიაშვილი „ქართული ენის სწავლების საკითხები, თბილისი 1997 წ.“ განიხილავს „ სკოლაში ჩვენ ვსწავლობთ მეცნიერებათა საფუძვლებს, სასწავლო საგნებს, რომლებსაც ვეუფლებით მშობლიური ენის საშუალებით, რომელიც ერთ-ერთი სასწავლო საგანია, თუ მშობლიურ ენას კარგად დავეუფლებით , კარგად შევისწავლით ყველა საგანს.“ ამის გათვალისწინებით რათქმაუნდა არ ვუარყოფთ დიალექტების შენარჩუნების და გაფრთხილების აუცილებლობას, მაგრამ მეორეს მხრივ აუცილებელია მოსწავლემ დიალექტური მეტყველება თანდათან ჩაანაცვლოს ოჯახის და მასწავლებლის დახმარებით სალიტერატურო ენით, რათა კარგად შეისწავლოს არამარტო ქართული ენა, შეძლოს ტექსტის გაგება- გააზრება, შინაარსის გადმოცემა, წერა, არამედ სრულყოფილად დაეუფლოს სხვა საგნებსაც, რადგან ჩემი დაკვირვებებით, ინტერვიუებით და გამოკითხვებით შეჯერებული მასალის შედეგად მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ დიალექტური მეტყველება ნაწილობრივ ხელს უშლის სხვა საგნების შესწავლასაც.

## თავი IV მეთოდოლოგია

### კვლევის ვადები

დაწყება 2019 წლის თებერვალი- დასრულება 2019 წლის ივნისი

	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
საკვლევი საკითხის შერჩევა და კვლევის დაგეგმვა	✓				
შეხვედრა ფოკუს ჯგუფთან	✓				
დიაგნოსტიკური ტესტირება	✓				
მოსწავლეთა გამოკითხვა					
კითხვარი 1-2-3	✓		✓	✓	
მასწავლებლების გამოკითხვა					
კითხვარი 1-2	✓		✓		
მშობლებზე დაკვირვება		✓		✓	
ლიტერატურის დამუშავება		✓			
მასწავლებლების გამოკითხვა ინტერვენციისთვის		✓			



მონაცემების ანალიზი			✓		
ინტერვენციების განხორციელება			✓	✓	
ინტერვენციების შედეგების ანალიზი				✓	
პრეზენტაცია პედაგოგებთან				✓	
რეფლექსია, კვლევის ანგარიშის გამოქვეყნება, ატვირთვა					✓

### სამიზნე ჯგუფი:

- პირველი კლასის მოსწავლეები
- პირველი კლასის მოსწავლეთა მშობლები
- დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები
- სკოლის სხვა მასწავლებლები და თანამშრომლები

### კვლევის მეთოდები:

- ფოკუს ჯგუფზე დაკვირვება
- დიაგნოსტიკური ტესტი სამიზნე ჯგუფისთვის
- გამოკითხვა, საუბრები ფოკუს ჯგუფებთან
- კითხვარები სამიზნე ჯგუფისთვის
- ინტერვიუ სკოლის პედაგოგებთან

- ინტერვიუ დაწყ კლასების პედაგოგებთან

## კვლევის ეტაპების აღწერა:

პირველ ეტაპზე წამოვაჩინე პრობლემა სკოლის დირექციის და მასწავლებლების წინაშე, გავაცანი ჩემი ზოგადი გრძელვადიანი მიზნები საკუთარი პრაქტიკის კვლევასთან დაკავშირებით, მათი მხრიდან იყო მზაობა დახმარების და აქტიურად ჩართვისა კვლევის პროცესში საჭიროების დამიხედვით, რადგან წამოჭრილი პრობლემის აქტუალობა მართლაც დიდია მოხის საჯარო სკოლის პედაგოგიურ პრაქტიკაში, რაზედაც წინა წლებში ხშირად გვექონია აქტიური განხილვა-საუბრები. რა თქმა უნდა დაწყებით განათლებას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, იგია საფუძველი, სამირკველი მოსწავლის განათლების საწყისი, რაზეც იგება შემდგომში მისი უმაღლესი განათლება. ასევე საუბარი მქონდა მშობლებთანაც, ავუხსენი და გავაცანი პრობლემის აქტუალობა და გრძელვადიანი მიზნები მივიღე დადებითი გამოხმაურება საკვლევ საკითხზე და ირიბად, ფრთხილად ვესაუბრე მოსწავლეებსაც არნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

### შერჩევა ----ნაწილობრივი შერჩევა

კვლევის ჩასატარებლად და პრობლემის იდენტიფიკაციისთვის გამოვიყენე ნაწილობრივი შერჩევა, პრობლემის შესწავლის პროცესში მონაწილეობას იღებდა 10 მოსწავლე, 10 მშობელი და 15 მასწავლებელი, ასევე სკოლის ადმინისტრაცია.

### მონაცემთა შეგროვება და კვლევის დღიური

კვლევის პერიოდში გამოვიყენე კვლევის სხვადასხვა მეთოდები: დაკვირვების მეთოდი, დიაგნოსტიკური ტესტი, ინტერვიუ, გამოკითხვის ფურცელი, შეხვედრები მშობლებთან და საუბრები...

- კვლევის დღიურში მოვაქციე ყველა საჭირო ინფორმაციის მოკლე მონახაზი და მონაცემები, რომლებსაც გზადაგზა ვამატებდი კვლევის პროცესში, ყველაფერი რასაც ვანხორციელებდი და ვქმნიდი კვლევის ირგვლივ: დიაგნოსტიკებს, გამოკითხვებს, ინტერვიუს, ასევე მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან, საზოგადოებრივ ადგილებში დაკვირვების შედეგებს, შემდეგ ვაანალიზებდი, ვაჯამებდი და მოკლედ აქვე ვინიშნავდი საჭირო ინტერვენციის სახეებს, რაც ძალიან დამეხმარა რათა ვყოფილიყავი უფრო მობილიზებული, დამესახა შემერჩია მორგებული მეთოდები რაც შედეგს ეფექტიანს გახდიდა. კვლევის დღიური აუცილებელია და საჭირო, რადგან არა მარტო კვლევის პროცესში არამედ მომავალშიც დიდ სამსახურს გამიწევს.

- კვლევის დასაწყისში მივმართე დიაგნოსტიკურ მეთოდს ვაკვირდებოდი მოსწავლეთა მეტყველებას, ვინიშნავდი შეუმჩნეველად დიალექტურ ფორმებს მათ მეტყველებაში, ვცდილობდი ფაქიზად შემეცვალა მათი დიალექტური სიტყვათა ერთეულები სალიტერატურო სიტყვებით, შემდეგ იმის გასარკვევად, ისევე წერდნენ თუ არა როგორც მეტყველებდნენ გაკვეთილის თემიდან გამომდინარე ვთხოვე დაეწერათ წერილი ახლობლისთვის, რამაც საკმაო დიაგნოსტიკური მასალა მომცა კვლევისთვის იმის გასარკვევად რა დოზით იყო მათ დამოუკიდებელ მეტყველებაში დიალექტიზმები, რადგან ჩემი დაკვირვებით წერის დროს როდესაც პირდაპირ უკუკავშირს არ ელოდებიან უფრო თავისუფლად იყენებენ დიალექტიზმებს, რაც შემდგომ მაღალ კლასებში ესე-ს თუ სხვა წერიტი სამუშაოს შესრულებისას უარყოფით შედეგს იძლევა. შემდეგ ჩავატარე დიაგნოსტიკური ტესტი პირველ კლასში , ვიდრე დიფერენცირებულად მივუდგებოდი პრობლემას, რადგან დამედასტურებინა არსებული პრობლემა. /დანართი 1 /

- დიაგნოსტიკური ტესტირებისთვის მოსწავლეებს დავურიგე სამუშაო ტესტები, სადაც გამოსახული იყო საგანთა სურათები და უნდა გაეფერადებინათ და ქვეშ მიწერილი დასახელებებიდან შემოეხაზათ სალიტერატურო ფორმა. მივეცი ინსტრუქციები და განვუსაზღვრე ერთი და იგივე დრო. მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა სამუშაო განსაზღვრულ დროში შეასრულა, ნაწილი ვერ ჩაეტია . სამუშაოს შესრულების ხარისხიც სხვადასხვაგვარი იყო.// დანართი 2 /

ასეთივე შინაარსის ტესტი, სურათების გარეშე გავიმეორე ერთი თვის ინტერვალით კიდევ ორჯერ, რათა შემედარებინა გარკვეული აქტივობების შემდეგ რამდენად იყო შედეგი გაუმჯობესებული,

/ დანართი 3-4 /

- დაწყებითი კლასების პედაგოგთა გამოკითხვა ანკეტირების მეთოდით ჩავატარე, რომლის მიზანი იყო, გამერკვია რამდენად აქტუალური იყო ჩემი კვლევის საკითხი მათთვის როდესაც ასწავლიდნენ პირველ კლასს, საიდან იყო დომინირებული მათი გადასახედიდან დიალექტური მეტყველება და ხომ არ ფიქრობდნენ , რომ სკოლამდელი დაწესებულების არსებობა შეამცირებდა ამ პრობლემას./ დანართი 5 /

- სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუ გამოვიყენე იმისათვის, რათა გამეგო მაღალ კლასებში რამდენად ხშირია დიალექტური მეტყველების გამოყენების შემთხვევები. ხომ არ ფიქრობენ ისინი, რომ პირველ კლასს დიალექტური მეტყველების შემცირებაში დიდი როლი აკისრია, სად უფრო სჭარბობს დიალექტური მეტყველება, სკოლაში თუ საზოგადოებრივ ადგილებში. და რამდენად უშლის ხელს სწავლა-სწავლების ნორმალიზების პროცესს დიალექტური


მეტყველების გამოყენება, რამდენად უჭირთ მოსწავლეებს ყოველივე ამის ფონზე გრამატიკული ნორმების დაცვა . ასევე ინტერვენციის რომელ მეთოდს მისცემდნენ უპირატესობას./ დანართი 6 /

- დაკვირვების მეთოდი გამოვიყენე მშობლებთან ინფორმაციის შესაგროვებლად. კვლების დასაწყისში ერთ-ერთ შეხვედრაზე მშობლებთან მივაწოდე მათ მცირე ინფორმაცია მასწავლებლების კვალიფიკაციის ამალღების მიზნით/ რაც პირდაპირკავშირში აისახება მოსწავლეთა ცოდნის ამალღებაზე/ გატარებულ სიახლეებზე ,ასევე ირიბად შევხე პედაგოგის საკუთარი პრაქტიკის კვლევის საკითხს და ჩემი კვლევის თემას და საუბარში დაკვირვების ნიადაგზე შევეცადე მომეპოვებინა ინფორმაცია რამდენად ღრმადია დიალექტური მეტყველება მშობლების და ოჯახის სხვა წევრების ცხოვრებაში ფესვგადგმული, ხელი შემიწყო იმანაც , რომ მეზობლური ურთიერთობები, კომპაქტური დასახლებული სოფელი მაძლევდა საშუალებას დაკვირვებოდი მათ მეტყველებაში დიალექტიზმების სიმრავლეს, რასაც ვინიშნავდი შეძლებისდაგვარად. ასევე მქონდა პერიოდულად კიდევ შეხვედრები მშობლებთან და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებებზე საუბრისას, რაც ხდებოდა ინდივიდუალურად თითოეულ მშობელთან , იყო შემთხვევები როცა აღნიშნავდნენ, რომ მათი შვილის მეტყველებაში მცირე დოზით დიალექტიზმები ჩაანაცვლა სალიტერატურო ფორმებმა. კვლევის პროცესში მოსწავლეებს ვაძლევდი ისეთ დავალებებს , რომლებიც საჭიროებდა მშობელთა აქტიურ ჩართულობას დავალებათა შესრულების პროცესში, ამით მშობლები უნებლიეთ ერთვებოდნენ ისეთ დავალებებში, სადაც დიალექტური ფორმები უნდა შეეცვალათ სალიტერატურო ფორმებით, რაც ირიბად წარმოადგენდა მათი პედაგოგიზაციის მეთოდს. /დანართი 7/

## თავი V. კვლევის შედეგები

### პირველი კლასის მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგების ანალიზი


ვიდრე კვლევის ანგარიშის წერას დავიწყებდი ვაკვირდებოდი მოსწავლეების მეტყველების ფორმებს, ჩემი მიზანი იყო გამერკვია რამდენად დიდი დოზით იყენებდნენ ისინი დიალექტურ ფორმებს. ვახდენდი შედეგების მონიშვნას და ამ ჩანიშვნების საფუძველზე ვადგენდი იმ აქტივობებს, რაც განმომტკიცებდა პირველად მონაცემებს. ამის შემდეგ მოსწავლეებს დავაწერინე წერილები, რათა მქონოდა შედეგები დოკუმენტურად დასაბუთებული. დავაწერინე „წერილი ახლობელთან“, ასევე „მისალოცი ბარათი“. ნამუშევრების შემოწმების საფუძველზე დავადგინე, რომ პრობლემას აქტიური და სისტემატური სახე ჰქონდა, მოსწავლეთა მეტყველების 80 % შეადგენს დიალექტური მეტყველების ფორმები.



**პირველი კლასის მოსწავლეთა დიაგნოსტიკური ტესტების ანალიზის შედეგები:**

მოსწავლეებს ჩავუტარე დიაგნოსტიკური ტესტი, ჩემი მიზანი იყო გამერკვია რა დოზით დომინირებდა დიალექტური ფორმები მათ მეტყველებაში რაიმე საგნის სახელის აღნიშვნის დროს. პირველად მიცემული დიაგნოსტიკური ტესტის შედეგების საფუძველზე გამოვლინდა, რომ პირველკლასელებმა ტესტური დავალებების 60 % შეასრულეს დიალექტური ფორმების გამოყენებით .


## მოსწავლეთა ტესტური დავალებების შედეგები



- ტესტირებისას იყენებს დიალექტურ ფორმებს
- ტესტირებისას არ იყენებს დიალექტურ ფორმებს

გაკვეთილების პროცესში, სადამრიგებელი საათის დროს, პირად, ინდივიდუალურ საუბრებში ვცდილობდი ფრთხილად და კორექტულად დიალექტური ფორმების ჩანაცვლებას სალიტერატურო ფორმებით, რათა მოსწავლეების სამეტყველო ენაში მომრავლებულიყო ლექსიკურად სწორი სიტყვები და ამ აქტივობების შედეგის შესამოწმებლად და წინა ტესტთან შესადარებლად ჩავატარე კიდევ ორი ტესტი. შემდგომ, თითო თვის ინტერვალით ჩატარებული ტესტები გამოირჩეოდა უკეთესი შედეგებით, თუმცა აქაც მრავლად იყო დიალექტური ფორმები, შედეგი იყო ასეთი, ჩატარებული ტესტის მიხედვით დიალექტური ფორმების გამოყენება შეადგენდა 50%.

## ინტერვენციის შემდეგ ტესტური დავალებების შედეგები




■ იყენებს დიალექტურ ფორმებს ■ არ იყენებს დიალექტურ ფორმებს ■ ■

### დაწყებითი კლასების პედაგოგთა ანკეტირების მეთოდით გამოკითხვის შედეგების ანალიზი:


დაწყებითი კლასების პედაგოგთა გამოკითხვის მიზანი იყო გამერკვია ჩემი საკვლევი საკითხის აქტუალობის ხარისხი მათ პედაგოგიურ პრაქტიკაში. ასევე მათი აზრი დიალექტური მეტყველების ასეთი დიდი დოზით დომინირების საწყისისა და სკოლამდელი დაწესებულებების როლის ხარისხი ამ საკითხის მოგვარებაში. ანკეტირების საფუძველზე გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა პრაქტიკაში მოსწავლეთა დიალექტური მეტყველების პრობლემა 90% -ს შეადგენს, ასევე დომინირების ობიექტად ოჯახს და სოციალურ გარემოს მიიჩნევს 90% -ზე მეტი, ასევე დიდ როლს ანიჭებენ სკოლამდელ დაწესებულებას, ანუ საბავშვო ბაღს, რომელიც ჯერ არ გვაქვს 70 %.

### დაწყებითი კლასების პედაგოგების გამოკითხვის შედეგები



- მათი მოსწავლეები მეტყველებენ დიალექტური ფორმებით
- მათი მოსწავლეები არ მეტყველებენ დიალექტური ფორმებით


### მასწავლებლების აზრი მოსწავლეთა დიალექტური ფორმების დომინირებასთან დაკავშირებით



- დომინირების ობიექტად ოჯახს, სოციალურ გარემოს მიიჩნევს
- დომინირების ობიექტად არ მიიჩნევს ოჯახს, ცოლციალურ გარემოს



საბავშვო ბაღის მნიშვნელობა მოსწავლეთა  
სამეტყველო ფორმის ფორმირებასთან  
დაკავშირებით




- დიალექტური მეტყველების ფორმების მოჭარბებას განსაზღვრავს საბავშვო ბაღის უქონლობა
- არ განსაზღვრავს საბავშვო ბაღის მნიშვნელობა


### სკოლის სხვადასხვა საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუ


ამ ინტერვიუს ჩაწერისას ჩემი მიზანი იყო გამერკვია რამდენად ხშირია მაღალი კლასების მოსწავლეების მეტყველებაში დიალექტიზმები, აკისრებენ თუ არა მთავარ როლს პირველი კლასს დიალექტური მეტყველების შემცირებაში და რამდენად უშლის ხელს დიალექტური მეტყველება სწავლა-სწავლების პროცესს, ასევე სად ჭარბობს დიალექტური მეტყველება--სკოლაში თუ საზოგადოებრივ ადგილებში. მათთან ჩაწერილი ინტერვიუს საფუძველზე მივიღე შემდეგი შედეგები: მაღალი კლასის მოსწავლეების მეტყველებაში დიალექტური ფორმები 80% შეადგენს. ასევე დიდია პირველი კლასის როლი ამის გამოსწორებაში 80% მიიჩნევს ასე. სწავლა სწავლების პროცესს დიდი დოზით უშლის ხელს, რადგან საჭირო ხდება შინაარსის განმარტება როცა შენიშნავს მასწავლებელი, რომ არასწორად ხდება ფრაზის ან აზრის ინტერპრეტირება, გრამატიკულ ნორმეში თითქმის ვერ ჯდება საუბრის დაწერის დროსაც, ასევე ეს იწვევს დროის არაეფექტურ ხარჯვას არაერთხელ გაკვეთილის განმავლობაში -ასე მიიჩნევს გამოკითხულთა 80%.

### საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მეტყველების ფორმები



### პირველი კლასის მოსწავლეთა როლი შემდგომი კლასების მოსწავლეთა მეტყველების ფორმირების პროცესში






### დაკვირვების მეთოდის გამოყენება მოსწავლეთა მშობლებთან

მშობლებთან დაკვირვების მეთოდის მიზანი იყო შემეფროვებინა ინფორმაცია მათ მეტყველებაზე დაკვირვებით მასზე, თუ რამდენად ხშირად იყენებდნენ დიალექტურ ფორმებს და აქედან გამომდინარე გამეკეთებინა დასკვნა დამდენად დიდია მშობელთა მეტყველების - როგორც მოდელების როლი მათი შვილების დიალექტურ მეტყველებაში. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ მშობლების, როგორც მოდელების როლი დიდია და შეადგენს დაახლოებით 90%. ასევე ამდენივე პროცენტით დიალექტურად მეტყველებენ როგორც ჩემი, შესაბამისად ჩემი მოსწავლეთა მეზობლები, თემის მოსახლეობა.

მშობლების როლი შვილების მეტყველებასთან დაკავშირებით



■ მეტყველებს მშობლების ზეგავლენით ■ არ მეტყველებს მშობლების ზეგავლენით ■

თავი VI

ინტერვენციების დაგეგმვა/ განხორციელება

● **I ინტერვენცია**--- პირველი კლასის მოსწავლეებთან მონაცემთა ანალიზის შედეგად დავეგეგმე ინტერვენცია, რათა პრობლემის მოგვარების გზების ძიებასთან ერთად ხაზი გამესვა და გაემიჯნათ თვითონვე დიალექტური ფორმები სალიტერატურო ფორმებისგან. ინტერვენციის სახე იყო დავალება. დავავალე სახლში ოჯახის წევრებისგან გაგონილი დიალექტური სიტყვები შემღებისდაგვარად გამოეყოთ და ჩაეწერათ, ასევე მიეწერათ გვერდით შემღებისდაგვარად ლიტერატურული ფორმები, კლასში ისინი გაცვლიდნენ შესრულებულ დავალებებს გვერდით მჯდომ მოსწავლესთან და შეამოწმებინებდნენ, შემდეგ კი ინდივიდუალურად ხმამაღლა წაიკითხავდა ყველა თავის დავალებას და თუ რამე კიდევ იყო შესასწორებელი, ვუსწორებდი და ვამღებდი უკუკავშირს. ეს აქტივობა სახალისო და საინტერესო გამოდგა მოსწავლეთათვის, გაუჩნდათ სურვილი კიდევ შეესრულებინათ ასეთივე დავალება.

აღნიშნული აქტივობა იყო გამიზნული მშობლებისთვისაც, ირიბად, მათი პედაგოგიზაციის მიზნით, რადგან დავალების შესრულებაში მისი ფორმატიდან გამომდინარე მშობლები აქტიურად უნდა ყოფილიყვნენ ჩართული, მიეცათ რჩევები და შემღებისდაგვარად განმარტებები შვილებისთვის.

●**II ინტერვენცია**--- პირველი ინტერვენციის მოსწავლეთა მხრიდან აქტიური მხარდაჭერიდან გამომდინარე, ერთობლივად დავგეგმეთ, რომ ყოველ გაკვეთილზე დიალექტურ სიტყვათა ფორმების გამოხატვას მივაქცევდით ყურადღებას და მოვინიშნავდი მათი შეხსენებით, დასვენებაზე კი ჩავწერდით სიტყვათა სკივრში და მივუწერდით შესაბამის სალიტერატურო ფორმას, ეს ე.წ. სიტყვათა სკივრი, ანუ დიდი ფორმატის ფურცელი გამოკრული იყო კედელზე და გამოყენებულ დიალექტიზმებს -გვერდით სალიტერატურო ენის სიტყვებით ვაკრავდით ფორმატის ფურცელზე, რაც თვალსაჩინოს ხდიდა ნებისმიერ დროს. ასე თამაშ-თამაშით უკეთ იმახსოვრებდნენ და ფრთხილობდნენ არ დაეშვათ „შეცდომა“.

●**III ინტერვენცია**--- მოსწავლეებს დავურიგე სადამრიგებლო საათზე ფორმატის ფურცლები და ვთხოვე ჩამოეწერათ საყოფაცხოვრებო ნივთების , სამუშაო იარაღების , ჰიგიენის დაცვისთვის საჭირო ნივთების რამდენიმე დასახელება, წავაკითხე ხმამაღლა და რომელიც აღმოჩნდა დიალექტური ფორმა, მიუწერეს ჩემი დახმარებით სალიტერატურო ფორმა, შემდეგ კი ვთხოვე გაეგრძელებინათ სახლში ასეთივე ფორმატით და დახმარება ეთხოვათ ოჯახის წევრებისთვის, ესეც როგორც პირველი ინტერვენცია გამიზნული იყო „ორი კურდღლის დასაჭერად“, რადგან გამიჯნავდნენ სიტყვათა ორ ფორმას და გაიმდიდრებდნენ ლექსიკას მოსწავლეები, მეორეს მხრივ კი ოჯახის წევრები უნებლიეთ ჩაერთობოდნენ სწავლა-სწავლების პროცესში და მათ პედაგოგიზაციას ვანხორციელებდი ირიბად. დავალების ფორმატი სახალისო იყო, ასევე მრავლისმომცველი ლექსიკური მარაგის კუთხით, მივეცი დრო შესასრულებლად, მესამე დღეს უნდა შეგვეკრიბა შესრულებული დავალებები კლასში და გაეცნით თანაკლასელებისთვის თავისი შრომის შედეგი, მოსწავლეები და მშობლები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ . პრეზენტაციები იყო სახალისო და ნაყოფიერი,ვამლევდი პერიოდულად უკუკავშირს და ვაფასებდი პოზიტიური ღიმილებით.

●**IV ინტერვენცია**---მოსწავლეებისთვის შევადგინე ტესტები იმ საგნების სურათების გამოყენებით, რომელთა სახელებსაც ყველაზე ხშირად დიალექტიზმებით მოიხსენიებდნენ , მივუწერე ქვეშ სახელის ორივე ფორმა და ვთხოვე ჯერ გაეფერადებინათ ნახატი ,რომ სახალისო ყოფილიყო მათი ასაკიდან გამომდინარე და შემდეგ შემოეხაზათ სახელის სალიტერატურო ფორმა. მოსწავლეებმა ხალისით შეასრულეს დავალება, კლასში იყო საქმიანი ხმაურის დასაშვები დონე, რასაც იწვევდა მათი ერთმანეთთან კონსულტაცია, სწორად ასრულებდნენ თუ არა

დავალებას, ეს დავუშვი ,რადგან როდესაც სხვას ასწავლიან ,მაშინ უკეთესად იმახსოვრებენ და ეს იყო ჩემი მიზანიც ამ ინტერვენციის დაგეგმვისას,

●**V ინტერვენცია**---ასევე ქართული ენის გაკვეთილის თემიდან / „ლიზიკოს წერილი“/ გამომდინარე მოსწავლეებს ვთხოვე გაკვეთილზე ჩემს მიერ დარიგებულ ფურცლებზე დაეწერათ გაზაფხულის მისალოცი ბარათი რომელიმე მშობლისთვის, იქვე ვთხოვე წერის დროს გაეთვალისწინებინათ სიტყვათა სკივრში არსებული სიტყვები და დაეცვათ წერის დროს სალიტერატურო ენის ფორმები, გაეფორმებინათ ფერადი ფანქრებით რათა სახალისო ყოფილიყო და სახლში ბარათის გადაცემის შემდეგ ეთხოვათ მშობლისთვის ეკარნახათ მათთვის სამადლობელი რამდენიმე ხაზის შემადგენლობით, რათა ისიც თავისი ხელით ჩაეწერათ ფურცელზე და გაეთვალისწინებინათ ჩემი რეკომენდაციები. მოსწავლეები აივსნენ მოლოდინით, მეც არანაკლებ ველოდი მათი ბარათების ნახვას მეორე დღეს. მოსწავლეებმა სიამაყით წარმოადგინეს ბარათები სადაც მინიმუმამდე იყო დასული დიალექტური ფორმების გამოყენება.

●**VI ინტერვენცია**-- რადგან სწავლა თამაშით განსაკუთრებით პირველკლასელებისთვის საუკეთესო აქტივობაა, მოსწავლეებს ვაჩვენე კომპიუტერით რამდენიმე წუთიანი ანიმაციური ფილმების ნაწყვეტები ქართულ ენაზე, ჩვენებამდე ვთხოვე, ყურადღებით მოესმინათ, რადგან მოუწევდათ სხვადასხვა მოქმედი პერსონაჟების როლების გათამაშება. მოსწავლეებმა ყურადღებით მოისმინეს და ჩვენების შემდეგ ერთად განვიხილეთ მულტფილმის შინაარსი და გავამეორებინე საკვანძო სიტყვები, რის შემდეგაც ყველას დავურიგე სხვადასხვა პერსონაჟების სიტყვები რათა ესწავლათ სახლში და მეორე დღეს დავდგით სხვადასხვა სიუჟეტები ანიმაციური ფილმებიდან. გმირების საუბარი, რომელიც მოსწავლეებმა ისწავლეს და გაითამაშეს გაჯერებული იყო სალიტერატურო ენის ფორმებით , რამაც მათ განუმტკიცათ ცოდნა აღნიშნული მხრით. ასეთივე როლური თამაშები გამოვიყენე სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტექსტების შესწავლისას, რომლებიც როლური თამაშის საშუალებას გვაძლევდა, ყველაფერმა ამან კი მათ მეტყველებაში მნიშვნელოვნად განამტკიცა სალიტერატურო მეტყველება.

●**VII ინტერვენცია**--- ყველა კლასის მასწავლებელთა ინტერესი დიდი იყო ჩემი კვლევის მიმართ, ვსაუბრობდით პრობლემაზე, მისი იდენტიფიკაციის გზებზე, ინტერვენციებზე ,რომელმა ინტერვენციამ მომცა უკეთესი შედეგი, მინდა ვთქვა, რომ შედეგები თანდათან უმჯობესდებოდა, ვუზიარებდით ერთმანეთს

პრაქტიკიდან გამოცდილებას, რადგან აღნიშნული პრობლემა მოხის საჯარო სკოლაში აქტუალურია, ამას ემატებოდა კვლევის პროცესში მიღებული ცოდნა, რომელსაც გზადაგზა ვუზიარებდი და კვლავ გავუზიარებ თანამშრომლობის პროცესში, რადგან ერთად, გაერთიანებული პროფესიული მიდგომებით, ერთი ძალისხმევით შევძლოთ პრობლემის აღმოფხვრა, რათა ჩვენმა მოსწავლეებმა მიიღონ სრულფასოვანი ცოდნა ლიტერატურაში, გრამატიკაში, გაიმდიდრონ ლექსიკა, ისაუბრონ სალიტერატურო ენით და ღრმად დაეუფლონ ყველა საგანს.

● **VIII ინტერვენცია**---- პირველკასელთა მშობლებთან მორიგი შეხვედრისას ინტერვენციის ფარგლებში ვთხოვე მშობლებს ყურადღება გაემახვილებინათ მოსწავლეთა დავალებების შესრულების დახმარების დროს დიალექტიზმებზე და ეკონტროლებინათ რომ დავალება შესრულებულიყო სალიტერატურო ენით, ასევე ტექსტი თხრობის დროს მაქსიმალურად სალიტერატურო ენით გადმოეცათ, რაზედაც მივიღე მათი დადებითი უკუკავშირი, დავალებების შესრულების დროს მეკონტაქტებოდნენ ტელეფონით, თუკი რაიმე იქნებოდა გასარკვევი, მეც ყოველთვის ვუმაღლებდი მოტივაციას, ვპასუხობდი მაქსიმალურად ვაძლევდი ინსტრუქციებს როგორ დახმარებოდნენ შვილებს დავალების შესრულებაში და ვთხოვდი რომ მოემართათ ნებისმიერი შეკითხვით სასწავლო აქტივობებთან დაკავშირებით.

## თავი VII

ინტერვენციის შეფასების მეთოდები, შეფასება და ინტერვენციის შედეგები.


ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან : მოსწავლეებთან ფოკუს ჯგუფის მუშაობის მიზანი იყო დაგვედგინა თუ რა პროცენტული მაჩვენებელით იყო მათ მეტყველებაში მოცემული დიალექტური ფორმები, რა იყო ამ დიალექტიზმების უწყვეტი წყარო, სათავე, რამდენად ეფექტურად მუშაობდა დაგეგმილი აქტივობები და ინტერვენციები პრობლემის მოსაგვარებლად.

ფოკუს ჯგუფი მასწავლებლებთან : მოცემული ფოკუს ჯგუფის მიზანი იყო გაგვეგო სხვა კლასების მოსწავლეები რამდენად იყენებდნენ დიალექტიზმებს, რომელი აქტივობები იყო ეფექტიანი სალიტერატურო ენის პოულარიზაციის და დამკვიდრებისათვის მოსწავლეთა მეტყველებაში, რამდენად ეფექტური იყო ინტერვენციები.

- **დიაგნოსტიკური ტესტირება მოსწავლეებთან:** მეორე დიაგნოსტიკური ტესტირების მიზანი იყო დაგვედგინა რამდენად ეფექტური აღმოჩნდა ინტერვენციები და შეგვეფასებინა მათი შედეგები.
- ვაწარმოებდი დღიურს, სადაც შემქონდა ყველა ჩემი დაკვირვების შედეგი, მასწავლებელთა მოსაზრებები, საჭირო ინტერვენციების მონახაზები, მოსწავლეებისგან გაგონილი დიალექტიკები სხვადასხვა კონტექსტში და ამისთვის ინტერვენციის გზები, მეთოდები.


შესაბამისად თვალნათლივ ვხედავდი შედეგს, მოსწავლეები მოტივირებულად, ხალისით ერთვებოდნენ ტესტის შესრულებასა და სხვა აქტივობებში. გაუჩნდათ და თანდათან იზრდებოდა მოტივაცია მეტყველების კულტურის დასახვეწად, ერთმანეთს დასვენებებზეც მიუთითებდნენ დიალექტიკების გამოყენებისას,, დაწყებითების კათედრის გარდა სხვა მასწავლებლებმაც სისტემატიური გახადეს მოსწავლეთა მეტყველების კულტურაზე დაკვირვება და საჭიროების შემთხვევაში რეაგირებდნენ შესაბამისად. აქედან გამომდინარე ინტერვენციებს დადებითი შედეგები მოჰყვა , რაც მახარებს და სტიმულს მაძლევს მომავალშიც აქტიურად ვიმუშაო ამ მხრივ. 2018—2019 სასწავლო წლის თებერვალში, როდესაც პირველი დიაგნოსტიკური ტესტირებები და დაკვირვებები ჩავატარე და მაისისთვის ტესტირებების შედეგებს წარმოგიდგენთ დიაგრამებით, შედეგი აშკარად გაუმჯობესდა სხვადასხვაგვარი ინტერვენციების საფუძველზე.

1-ლი დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგები: დიაგრამა 1





დიაგრამა 2



• როდესაც დავავალე სახლში ჩაეწერათ დიალექტიზმები და გვერდით მიეწერათ სალიტერატურო ფორმები- მშობლების დახმარებით , ჩემი მიზანი იყო არაოფიციალურ გარემოში, სახლში სადაც ნივთებიც შეეძლოთ თვალსაჩინოების სახით ენახათ კიდეც, გაეაზრებინათ სხვადასხვა საგნების დიალექტური ფორმით წარმოთქმული სახელები და ასევე გააზრებულად მიეწერათ სალიტერატურო ფორმები. ამ დროს ჩართული იყვნენ მაქსიმალურად მშობლები და მიმდინარეობდა ირიბად მათი პედაგოგიზაცია. ყველა შეეცადა შეესრულებინა დავალება და შედეგით კმაყოფილი დავრჩი.

• სიტყვათა სკივრში დიალექტიზმების ჩაწერის აქტივობამაც კარგი შედეგი მომცა, რადგან მოსწავლეები ყურადღებით უსმენდნენ ერთმანეთს, თუკი გაიგონებდნენ დიალექტიზმებს, აუცილებლად აღნიშნავდნენ და ერთად „ვდებდით“ სიტყვათა სკივრში და იქვე სალიტერატურო ფორმას შევთავაზებდით, ასევე თვითონაც ფრთხილობდნენ , ცდილობდნენ ემეტყველათ არადიალექტური ფორმებით. მოტივაციაც ამაღლდა და სახალისოც აღმოჩნდა მათთვის.

• როგორც ვიცით სწავლა თამაშით საშუალებას გვაძლევს მასწავლებელმა მოსწავლეები არჩევანის--დელეგირების გზით მოტივირებულად ჩართოს შესწავლის პროცესში, ამიტომაც გამოვიყენე როლური თამაშები, რათა უკეთესად დაემახსოვრებინათ სალიტერატურო სამეტყველო ფორმები, ანიმაციური ფილმებიდან ნაწყვეტების და სასწავლო პროგრამიდან შესაბამისი მოთხრობების გათამაშების შემდეგ უკეთესად აითვისებდნენ და დაამახსოვრდებოდათ ის

სალიტერატურო ფორმები რომლების შეცვლიდა მათ მეტყველებაში დიალექტიზმებს. პრაქტიკული როლური თამაშებით გავუღვიძე ცნობისმოყვარეობა, მოსწავლე თვითონვე იღებდა სიამოვნებას როლის გათამაშებით და არ სჭირდებოდა გარე იძულება, ავუმაღლე შინაგანი მოტივაცია და მივიღე მათგან მზაობა სასურველი ინტერესის საგნის შესასწავლად.

- მშობლების პედაგოგიზაცია აუცილებელი და საძირკველის შენების მნიშვნელობის აქტივობა იყო, ამიტომ კლასში დაწყებული საყოფაცხოვრებო, ჰიგიენის ნივთების და შრომისიარაღების ჩამოთვლა, ვთხოვე გაეგრძელებინათ სახლში მშობლების დახმარებით, გვერდით კი მიეწერათ დიალექტური ფორმები ან პერიქით, კლასში მოტანის შემდეგ კი ერთმანეთს უსწორებდნენ რამდენად სწორად ქონდათ შესრულებული დავალებები. ამით არა მარტო მოსწავლეებს უკვე მშობლებსაც გამოუმუშავებდათ ჩვევა, დიალექტური ფორმები შეცვალონ საუბრისას სალიტერატურო ფორმებით.

- რადგან თვალსაჩინოება და თვითონ თვალსაჩინოებაზე მუშაობის პროცესიც მეტად ღრმა შედეგს იძლევა, მოსწავლეებს დავეუზადაე ტესტები სადაც ეხატა საგნების სურათები რომლებიც უნდა გაეფერადებინათ და ქვეშ მიწერილი სიტყვებიდან შემოეხაზათ საგნის დასახელების სალიტერატურო ფორმა.

- რადგან მასწავლებელი და მშობელი ,როგორც მოდელები, დიდ როლს ასრულებენ პირველკლასელთა ყველა უნარის და ჩვევის შესწავლა განმტკიცებაში, მე როგორც მასწავლებელი, რა თქმა უნდა მაქსიმალურად ვიცავდი სამეტყველო კულტურის ყველა ნორმას და მშობლებთან ამის განსამტკიცებლად მომდევნო ინტერვენცია განვახორციელე, დაუწერეს ფურცლებზე მშობლებს გაზაფხულის მისალოცი ბარათები სახლში ჩვენების შემდეგ მშობლებს სთხოვეს პასუხები ეკარნახათ და ბავშვებმა ჩაიწერეს , თუკი უპასუხებდნენ დიალექტიზმებით , მოსწავლეები ისევ მშობლებთან კონსულტაციის შემდეგ შეეცდებოდნენ სწორად დაწერას, რაც ორივეს შემთხვევაში დადებით შედეგს მოიტანდა და ასეც მოხდა.

- მშობლებს ვთხოვე ერთ ერთი შეხვედრისას, რომ ყურადღება გაემახვილებინათ დავალების შესრულების დროს , ან ტექსტის თხრობის დროს დაცული ყოფილიყო სალიტერატურო წერის თუ მეტყველების ნორმები მოსწავლეთა მხრიდან. ამის გაკონტროლება კი მშობელთა მხრიდან მათთვის განხორციელებული ინტერვენციის კიდევ ერთი სახე იყო. რამაც დადებითი შედეგი გამოიღო, გაიზარდა პასუხისმგებლობა აღნიშნული საკითხის მიმართ მშობლების მხრიდან რამაც შესაბამისად გამოიწვია პასუხისმგებლობის გაზრდა მოსწავლეებში ანუ მათ შვილებში - საერთო ჯამში კი მივედი საუკეთესო შედეგამდე.

- სკოლის დაწყებითი საფეხურის და მაღალი კლასების მასწავლებლების მასწავლებლებთან კვლევის განმავლობაში მქონდა კათედრაზე შეხვედრების და კოლეგებთან შეხვედრების დროს საუბრები ჩემს მიერ ნაწარმოები კვლევის შედეგებზე, ვუზიარებდით ერთმანეთს გამოცდილებას, ვსაუბრობდით ინტერვენციის სახეებზე, შევადგინე მათთვის სხვადასხვა რეკომენდაციები, რომლებმაც გაამართლა ჩემი პედაგოგიური კვლევის პერიოდში, მათთან თანამშრომლობამ ორივე მხარისთვის დადებითი შედეგი გამოიღო, რადგან ჩემთვისაც მნიშვნელოვანი იყო მათი თუნდაც მცირე მაგალითები ყოველდღიური პრაქტიკოდან და ასევე მათ ქონდათ დადებითი რეაქციები ჩემს მიერ გაზიარებულ ცოდნასთან დაკავშირებით.

## თავი VIII

### კვლევის მიგნებები, რეკომენდაციები და ნაკლოვანებები

#### კვლევის მიგნებები

1 ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ აჭარიდან გადმოსახლებული ოჯახების წევრების მეტყველებაში გაბატონებული დიალექტური მეტყველება დომინირებს ამ ოჯახების შვილების მეტყველებაზე და კერძოდ ჩემი პირველი კლასის მოსწავლეების მეტყველებაზე. ეს კი იწვევს მათი მხრიდან სალიტერატურო ენის და მათი მეტყველების ფორმების სხვადასხვაობას.

2 სკოლამდელი დაწესებულების, კერძოდ საბავშვო ბაღის არქონა მრავალ პრობლემას წარმოშობს პირველკლასელთა სოციალური უნარების, მეტყველების კულტურის და სხვადასხვა კუთხით, შესაბამისად საბავშვო ბაღის კურსის გავლის შემდეგ პირველკლასელებს ექნებოდათ საბაზისო ცოდნა, რათა გაემიჯნათ დიალექტური მეტყველება და სალიტერატურო ერთმანეთისგან და მეტად გამოიყენებდნენ სალიტერატუროს, რაც მეტ დროს დაგვიტოვებდა სხვა აუცილებელი უნარების განსავითარებლად.

3 საინტერესოდ და სწორად დაგეგმილი ინტერვენციები არის პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზა, რასიც დავრწმუნდი ჩემი პედაგოგიური კვლევის მიმდინარეობისას. ყველა ჩემს მიერ განხორციელებული ინტერვენცია იყო შედეგიანი და იწვევდა არა მარტო მოსწავლეების, არამედ მშობლების აქტიურ ჩართულობასაც.

4 უდიდესი როლი აქვს პირველკლასელებთან წამატებულ საქმიანობაში მშობლების ჩართულობას, საჭიროების შემთხვევაში მათი კორექტული ფორმებით პედაგოგიზაციას, რაც პირდაპირკავშირში აისახება მათი შვილების წარმატებაზე.

5 პირველკლასელთათვის სწავლას თამაშით დიდი ეფექტი აქვს და საკმაოდ დიდ შედეგზეც გავდივართ, ამიტომ რაიმე თუნდაც უმნიშვნელო როლის გათამაშებით მოსწავლეების მოტივაცია მნიშვნელოვნად მაღლდება და საუკეთესო შედეგს გვაძლევს, აღწევნ წარმატებებს თუნდაც რაიმეს დამახსოვრების დროს.

6 სწავლა- სწავლების პროცესში ერთ-ერთი წარმატებული მეთოდია პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილები, რომლებიც მრავლად იქნება გაჯერებული სახალისო და მრავალფეროვანი აქტივობებით.

7 კოლეგებთან თანამშრომლობა მძლავრი იარაღია ყველა პრობლემის გადასაჭრელად , რადგან ერთად მოძიებული პრობლემის გადასაჭრელი გზები და მეთოდები ეფექტური და წარმატებულია, მათ მრავალწლიან პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება ბევრი პრობლემის გადაჭრა.

8 კვლევებში პროექტებში სხვადასხვა აქტივობებში მოსწავლეების ჩართვა ახალისებს მოსწავლეებს, იზრდება მათი თვითშეფასება, იძენენ პასუხისმგებლობის უნარს და მათი მოტივაციაც მაღლდება, რაც წარმატების საწინდარია.

### კვლევის რეკომენდაციები

- 1 ყველა აქტივობა დაგეგმეთ კონკრეტული მიზნის გათვალისწინებით, იმ პრობლემის გადასაჭრელად რაც წარმოადგენს პრობლემას მოსწავლეებისთვის.
- 2 ნდობაზე და ურთიერთთანამშრომლობაზე დამყარებული ურთიერთობები მოსწავლეებისთვის უმთავრესია, ამიტომ დავალებებით და აქტივობებით გააღვივეთ ეს გრძნობა მოსწავლეებსა და თქვენს შორის, ასევე მშობლებში და შვილებში.
- 3 მიეცით მოსწავლეებს საშუალება აიმაღლონ თვითშეფასება, გააკეთონ არჩევანი, გამოთქვან საკუთარი აზრი.
- 4 სწავლა თამაშით გაუხალისებს მათ სასწავლო პროცესს, ამიტომ ხშირად გამოიყენეთ სახალისო აქტივობები, რათა სწავლა გახადოთ მათთვის საინტერესო პროცესი.
- 5 მიაჩვიეთ იმას, რომ ყველას მისცენ აზრის გამოთქმის საშუალება, შეძლონ სხვისი მოსმენა, რათა არავინ იგრძნოს კლასში თავი დათრგუნულად.
- 6 მიეცით უკუკავშირი პოზიტიური ფორმით, წახალისეთ მათი აქტიურობა, წარმატება, რაც აუმაღლებთ მოტივაციას,

### კვლევის ნაკლოვანებები

- 1 ჩემი პედაგოგიური კვლევა იმდენად დიდ პრობლემას ეხება, რომ დრო ,რა დროშიც მიმდინარეობდა კვლევა არ იყო საკმარისი პრობლემის

აღმოსაფხვრელად, რა თქმა უნდა, კვლევის დასრულების შემდეგ ისევ გავაგრძელებ ამ პრობლემის ირგვლივ მუშაობას.

2 ყველა პედაგოგი არ იყო ჩართული კვლევის პროცესში მათი სურვილიდან გამომდინარე, რაც აფერხებს სკოლის მასშტაბით პრობლემის აღმოფხვრისთვის ეფექტურ მუშაობას.

3 კვლევის პროცესში ჩართული იყვნენ უმეტესად დედები, პრობლემა კი იმდენად ღრმავა, რომ უკეთესი იქნება მომავალში აქტიურად ჩავრთო ყველა ოჯახის წევრი.

## დასკვნა

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მიმდინარეობდა ხუთი თვის განმავლობაში. კვლევა წარიმართა ეტაპობრივად ყველა საჭირო ეტაპის გავლით, რამაც ძირითადი პასუხი გასცა და გამიზნულ შედეგამდე მიმიყვანა ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში წამოჭრილ პრობლემასთან დაკავშირებით. თუმცა სამუშაო მართლაც ჯერ კიდევ ბევრია, მაგრამ შედეგი იმდენად ეფექტურია, რომ მომავალში განახლებული ენერჯით და დიდი მოლოდინებით გავაგრძელებ განხილული პრობლემის დაკვირვებას და ფრთხილად, მაგრამ ეფექტური ინტერვენციების განხორციელებას.

ჩემს მიერ განხორციელებული კვლევის საფუძველზე ჩემი დაკვირვებით და განხორციელებული ინტერვენციების შედეგების გათვალისწინებით მოსწავლეებმა მიიღეს უნარ-ჩვევები და ცოდნა დიალექტური და სალიტერატურო ფორმების არა მარტო გამიჯვნის შესახებ, არამედ სალიტერატურო ფორმების გამოყენების აუცილებლობის შესახებ, რაც შეისწავლეს და შეძლებისდაგვარად დამკვიდრდა მათ არა მარტო სკოლის მეტყველებაში არამედ სახლში და საზოგადოებრივ ადგილებშიც. მაგრამ როგორც ზემოთ ვახსენე ამდაგვარი აქტივობები კვლავ აქტიურად მექნება ჩართული მომავალი წლის სასწავლო პროცესის დროს.

სასარგებლო და აუცილებელი იყო მშობლების ჩართვა აღნიშნული კვლევის დიაგნოსტიკაში და ინტერვენციაში, რადგან სწორედ ოჯახის და მშობლების დიდი როლია, სკოლასთან ერთად პირველკლასელთა მეტყველებაში, აღნიშნული კვლევა სასარგებლო იყო მშობლებისთვისაც, რადგან მათი მეტყველება ირიბად, რათა შვილებს დახმარებოდნენ დავალებების შესრულებაში ძალაუვნებურად

ექვემდებარებოდა სალიტერატურო ფორმებით მეტყველებას. რაც იმედს მამლევს რომ, მათი მომდევნო შვილების მეტყველებაში ნაკლებ პრობლემებს წარმოშობს.

დაწყებითი კლასების მასწავლებლებთან ამ საკითხის არაერთხელ განხილვის , კონსულტაციების, გამოკითხვებისა და ტესტირებებით მიღებული შედეგების შემდგომში გათვალისწინების შედეგად მათი სარგებელი იყო , რომ უფრო დააკვირდნენ, გამოყვეს და პრობლემის მოგვარების გზებზე იფიქრეს, მინიმალურად მაინც განახორციელეს სხვადასხვა აქტივობები სალიტერატურო ენის გასამყარებლად მოსწავლეთა მეტყველებაში, ვიმედოვნებ რადგან მოეწონათ და ხალისით აიტაცეს სხვადასხვა აქტივობები, გაიზარდნენ გარკვეული ფორმით პროფესიონალურადაც.

სხვა მაღალი კლასების მასწავლებლებისთვის აუცილებელი და ნაყოფიერი იყო აღნიშნულ კვლევაში ჩაბმა, მათი მოსაზრებების გათვალისწინება არა მარტო ჩემთვის და მოსწავლეებისთვის იყო სასარგებლო, არამედ მათაც პროფესიული კუთხით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018 2024წწ მოქმედი რედაქცია
- დიალექტოლოგია- ენციკლოპედია „საქართველო“-ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია
- მასალა ვიკიპედიიდან -თავისუფალი ენციკლოპედია.
- ნინო უსტიაშვილი „ქართული ენის სწავლების საკითხები, თბილისი 1997 წ.“
- ეთერ ბერიძე „აჭარული დიალექტის სალექსიკონო მასალა“
- დიალექტოლოგია. ვ. თოფურია
- ჟურნალი მასწავლებელი „პრაქტიკული კვლევა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და სწავლა სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის“, ვერიკო ხელისუფალი, 2014წ
- თედო სახოკია „მოგზაურობანი“ თბილისი 1950წ
- თამაზ აბულაძე „დიალექტური ხარვეზების დაძლევისათვის“ ახალი განათლება 21-27.03. 2019
- მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი „ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ ნაწილი მეორე . 2009

## დანართები

### დანართი 1

წერილი ახლობელს
გამარჯობა ჩემო-----
იმედია მალე შევხვდებით. შენი -----

### დანართი 2

მაია რეხვიაშვილის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

კვლევის თემა: „დიალექტიკური მეტყველების პრობლემა და მისი გადაჭრის გზები პირველ კლასში“

ანალიტიკური ტესტი მოსწავლეთათვის

შემოხაზე რომელია სიტყვის სწორი ფორმა:

თავსაბური --- სილგი

ციცა -----გოგო

ბაღნები ----- ბავშვები

კომბოსტო ----- ფხალი

ხაპი -----გოგრა  
ყარტოფი -----კარტოფილი  
კედელი -----კედელა  
ეველ ----- ავედი  
ბელქი ----- ნეტავ  
როგორია -----რამდენია

## დანართი 2

მაია რეხვიაშვილის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

კვლევის თემა: „დიალექტიკური მეტყველების პრობლემა და მისი გადაჭრის გზები პირველ კლასში“

ანალიტიკური ტესტი მოსწავლეთათვის

შემოხაზე სურათების ქვეშ სწორი ფორმა



ჯამი-----უსკურა

ტალიკი-----თეფში





ჩელბაკი-----ჩამჩა



საწური-----სუზგი



გუგუმი -----დოქი



ღუმელი -----სობა

### დანართი 3

მაია რეხვიაშვილის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

კვლევის თემა: „დიალექტიკური მეტყველების პრობლემა და მისი გადაჭრის გზები პირველ კლასში“

ანალიტიკური ტესტი მოსწავლეთათვის

შემოხაზე რომელია სიტყვის სწორი ფორმა:

თავსაბური --- სილგი

ციცა -----გოგო

ბაღნები ----- ბავშვები

კომბოსტო ----- ფხალი  
 ხაპი -----გოგრა  
 ყარტოფი -----კარტოფილი  
 კედელი -----კედელა  
 ეველ ----- ავედი  
 ბელქი ----- ნეტავ  
 როგორია -----რამფერია

დანართი 4 ანალიტიკური ტესტი მოსწავლეთათვის

დიალექტიზმებს გვერდით მიუწერეთ სიტყვის სალიტერატურო ფორმები

მაგზე-----	რომენ-----
თვარა-----	რომელცხა--
ჰაცხან-----	მე-----
მაგფერი---	
კილარმი---	შინათკენ---
არნდა-----	
ჩამეიტაი---	ზადაურეფში-----
გეიქე-----	
როიცხა-----	ქვედაურეფში---
ავლაი-----	
იგზე-----	ამათიებში-----

დანართი 5

გამოკითხვის ფურცელი მასწავლებლებისთვის

პედაგოგის სახელი და გვარი-----

1 თქვენი აზრით რამდენად აქტუალურია დიალექტური მეტყველების პრობლემაპირველ კლასში. მოიყვანეთ მაგალითი:

-----  
-----  
-----

2 საიდან მოდის მოსწავლეთა დიალექტის მეტყველების დომინირება?

-----  
-----  
-----

3 ხომ არ ფიქრობთ, რომ სკოლამდელ დაწესებულებაში სწავლა დადებით გავლენას მოახდენდა პირველკლასელთა მეტყველებაზე?

-----  
-----  
-----

4 თქვენი აზრით დიალექტური მეტყველება ქართული ენის გარდა სხვა საგნების შესწავლას უშლის თუ არა ხელს? მოიყვანეთ ერთი არგუმენტი.

-----  
-----  
-----  
-----

5 რამდენად დიდია მასწავლებლის როლი ამ პრობლემის დაძლევაში?

-----  
-----  
-----

-

7 თქვენი აზრით დიალექტური მეტყველების სალიტერატურო ენით ჩანაცვლება რამდენად შეუწყობს ხელსაკადემიური მოსწრების ამადლებას?

-----  
-----  
-----

დანართი 6 მასწავლებლის ინტერვიუ

პედაგოგიური კვლევის თემა: დიალექტიკური მეტყველების პრობლემა სოფელ მოხეს საჯარო სკოლის პირველ კლასში. პრობლემის გამოკვეთა და მისი გადაჭრის გზების ძიება.

პედაგოგის სახელი და გვარი -----

1. თქვენი აზრით რამდენად ხშირია დიალექტიკური მეტყველების გამოყენების შემთხვევები იმ კლასებში სადაც თქვენ მუშაობთ.

---

---

---

2. თქვენი აზრით რა შეიძლება იყოს მიზეზი სალიტერატურო ენის გვერდით დიალექტიკური მეტყველების ჭარბად გამოყენების.

---

---

---

3. თქვენი დაკვირვებით სად უფრო სჭარბობს დიალექტიკური მეტყველების გამოყენება, მეცნიერული და მხატვრული ტექსტის გადმოცემისას თუ ყოველდღიური ურთიერთობისას.

---

---

4. თქვენი აზრით რამდენად უშლის ხელს სწავლა-სწავლების ნორმალიზების პროცესს დიალექტური მეტყველების გამოყენება.

---

დანართი 7 ერთ--ერთი დავალება მოსწავლეთათვის რომელიც საჭიროებდა მშობლების ჩართულობას:

ჩამოწერეთ სხვადასხვა ნივთების სახელები ჯერ დიალექტური ფორმით, გვერდით კი მიუწერეთ სალიტერატურო ფორმები:		
საოჯახო, სამზარეულოს ნივთები	ჰიგიენის დაცვისთვის საჭირო ნივთები	შრომის იარაღები
-----	-----	-----
-----	-----	-----
-----	-----	-----
-----	-----	-----
-----	-----	-----
-----	-----	-----
-----	-----	-----
-		

### კვლევის რეფლექსია

დიალექტი გარკვეული ადამიანის დაბადებისა და ჩამოყალიბების ადგილთან იდენტურობის სფეროს მიეკუთვნება, რაც ურთიერთობას დიალექტის მატარებლისა და ლიტერატურულ-სტანდარტულ ენაზე მოლაპარაკეს შორის ემოციურად დატვირთულს ხდის. /ვიკიპედია. დიალექტი./

სწორედ მშობლების დაბადების ადგილსა და საცხოვრებელი ადგილის /სადაც კომპაქტურად არიან დასახლებული მაღალმთიანი აჭარიდან ჩამოსახლებული

მოსახლეობა/ ზეგავლენით მეტყველებენ ჩემი პირველკლასელები დიალექტური ფორმებით, რაც თავის მხრივ გარკვეულწილად ხელს უშლის სწავლა სწავლების პროცესს.

ამიტომაც გადავწყვიტე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის თემად ამერჩია „**დიალექტური მეტყველების პრობლემები პირველ კლასში, პრობლემის იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ძიება.**“

ეს თემა აქტუალურია და პრობლემური ჩვენი სკოლის სინამდვილეში, რადგან ყველა კლასში და განსაკუთრებით პირველ კლასში მასშტაბური სახე აქვს დიალექტიზმების გამოყენებას არა მარტო მეტყველებაში, არამედ წერის დროსაც. სწორად წერასა და მეტყველებას გვავალდებულებს ეროვნული სასწავლო გეგმა, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, რადგან ენა არის ქართული ენის და ლიტერატურის სტანდარტის ბირთვი, ენობრივი უნარ-ჩვევები ერთი მთლიანი სისტემაა, რომელიც ხელს უწყობს პიროვნებას დაძლიოს სირთულეები სხვადასხვა სფეროში. ასევე სხვა საგნების შესწავლის საშუალებაცაა და ყოველივე ამან განაპირობა ჩემი სურვილი ჩემს მოსწავლეებში ლიტერატურული მეტყველების განმტკიცებისა, რაც შემდგომში ვიმედოვნებ ჯაჭვური რეაქციით დადებითად იმოქმედებს მათ გარშემო მყოფებზე.

განვსაზღვრე სამიზნე და ფოკუს ჯგუფები, კვლევის პროცესში ჩავრთე მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები, მივმართე სხვადასხვა მეთოდებს პრობლემის იდენტიფიკაციისა და შემდგომში დაგვარად მოგვარებისთვის: დაკვირვება, გამოკითხვა, ინტერვიუ, სხვადასხვა ტესტები, --რამაც საკმაო მასალა მომცა საკვლევი საკითხის ირგვლივ და ინერვენციების დასაგეგმად.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები მშობლების, ოჯახის წევრების, ირგვლივ მცხოვრები საზოგადოების დიდი ზეგავლენით საუბრისას და წერის დროს მრავლად იყენებენ დიალექტიზმებს. კვლევის ყველა შედეგის გათვალისწინებით დავგეგმე ინტერვენციები, რომლებმაც კარგი შედეგებზე გამიყვანა და მომცა მოტივაცია შემდგომში მოცემული საკვლევი საკითხის გასაგრძელებლად. ინტერვენციების ეტაპობრივად განხორციელების შემდეგ ვაკვირდებოდი მოსწავლეებს, აშკარად შეინიშნებოდა თითოეული ინტერვენციის შემდეგ შედეგების გაუმჯობესება. მოსწავლეებში შინაგანი მოტივაცია იზრდებოდა და ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდნენ შედეგების გაუმჯობესებისთვის

კვლევის დროს გამიჭირდა და სირთულედ შეიძლება ჩავთვალო მშობლებთან განხორციელებული ინტერვენციებისთვის მზადება, რადგან ვცდილობდი ფრთხილად მოვკიდებოდი ამ სენსიტიურ საკითხს, თუმცა მშობლებმა საკმაოდ დადებითი უკუკავშირი მომცეს.

ძლიერ მხარედ შეიძლება ჩავთვალო განხორციელებული ინტერვენციები, რომლებიც მრავალფეროვანი და შედეგიანი იყო. მაგ: ანიმაციური ფილმის ჩვენება და როლური გათამაშება, რაც ხალისით შეასრულეს, ჰქონდათ მოდელები ანიმაციური ფილმების გმირების სახით, აკვირდებოდნენ მათ მეტყველებას, ისწავლეს თამაშით რაც მათთვის სასიამოვნო იყო, არ დასჭირვებიათ გარე იძულება, ასევე თანამშრომლობით და კომუნიკაციის უნარები მეტად განუვითარდათ. არანაკლებ ეფექტური და შედეგიანი იყო სხვა კვლევის ანგარიშში წარმოდგენილი ინტერვენციები.

კოლეგებმა გამოთქვეს მზაობა საკვლევი საკითხის გარშემო თანამშრომლობისთვის და აქტიურად ჩაებნენ გამოკითხვის, ინტერვიუს და საუბრების ფორმატში, განვიხილავდით კვლევის მიმდინარეობას, გავითვალისწინე მათი მოსაზრებები ინტერვენციების შესახებ. ვთვლი, რომ ჩემს მიერ ნაწარმოები პედაგოგიური კვლევა არსებული არასასურველი ვითარების გაუმჯობესების ინოვაციური საშუალებაა და ღირებულია თითოეული ინტერვენცია და აქტივობა.

სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს წარვუდგინე კვლევის ანგარიში, შეხვედრამ ჩაიარა ორგანიზებულად, საინტერესოდ. განვიხილე კვლევის ცალკეული თავები: მიზანი, ამოცანები, ინტერვენციები, შედეგები, დროდადრო კოლეგებისგან ვღებულობდი უკუკავშირს, გამოთქვეს აზრი კვლევის სხვადასხვა ეტაპებზე, საბოლოოდ აღინიშნა, რომ კვლევამ დაგვანახა პრობლემის სიმძაფრე -- არა მარტო პირველ კლასში და მომავალში მზად იყვნენ სხვადასხვა შესაბამისი ინტერვენციების განსახორციელებლად რათა დაეხვეწათ მოსწავლეთა მეტყველების კულტურა.

ბოლოს კი გამომდინარე შედეგებიდან ვეცდები უფრო ხშირად გამოვიყენო პრაქტიკული კვლევის მეთოდი სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების მოსაგვარებლად. განხილული პრობლემის ირგვლივ კი ვავაგრძელებ დაკვირვებას და საჭიროების შემთხვევაში ინტერვენციებს.

წარმოდგენილი კვლევის ანგარიში გამოქვეყნებულია ჩემს ბლოგზე.  
<https://www.blogger.com/blogger.g?blogID=2855753972847077404#editor/target=post;postID=5737485490221660729;onPublishedMenu=allposts;onClosedMenu=allposts;postNum=0;src=postname>

მაია რეხვიაშვილი  
14 06 2019წ







